საქართველოს მთავრობის

დადგენილება №693

2020 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-2 მუხლის 6^2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) 2020 წლის 20 ნოემბრის 22:00 საათიდან 2020 წლის 22 ნოემბრის 05:00 საათის ჩათვლით პერიოდზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 20 ნოემბრის 22:00 საათიდან და ძალაშია 2020 წლის 22 ნოემბრის 05:00 საათის ჩათვლით.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**